| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის **პირველ სართულზე** მდებარეობს ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი, არქივი, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ერთი იზოლირებული სველი წერტილი, ასევე, ადაპტირებული სველი წერტილი. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია არ შეესაბამებოდა სტანდარტებს. ექპერტთა რეკომენდაციით ლაბორატორია გადატანილ იქნა პირველ სართულზე არსებულ 33კვ.მ ფართობის ოთახში , სადაც არის ონკანი,მაგრამ არ არის გამწოვი, უახლოეს მომავალში სკოლა გეგმავს ლაბორატორიაში გამწოვი სისტემის დამონტაჟებას.<br>**მეორე სართულზე** მდებარეობს 13 საკლასო ოთახი, რომელიც ნათელია ბუნებრივი განათებით, მოწესრიგებული იატაკით, კარებებითა და ფანჯრებით. საკლასო ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, ინდივიდუალური მერხებით, სულ ერთადგილიანი 136 მერხი და სკამი, ასევე საწყობში განთავსებულია დამატებით 90 (ერთადგილიანი) მერხი და სკამი. აღნიშნული ინვენტარის ფლობის დამადასტურებლად სკოლამ წარმოადგინა შესყიდვისა და ჩუქების დოკუმენტები. მერხებისა და სკამების ეს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რაოდენობა აღემატება მოსწავლეთა რაოდენობას. გარდა აღნიშნული ინვენტარისა, საკლასო ოთახები აღჭურვილია მასწავლებელთა მაგიდებითა და სკამებით. სასკოლო დაფებით, რუკებით, სხვადასხვა სახის სასწავლო თვალსაჩინოებით, პოსტერებით, მოსწავლეთა ნამუშევრებით და შეფასების რუბრიკებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შესყიდვისა და ჩუქების დოკუმენტებით:<br>• საინვენტარო წიგნით;<br>• შიდა აზომვითი ნახაზი: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი, სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად იყენებენ სკოლის პირველ სართულზე არსებულ ერთ ოთახს, რომელიც არის 29,7 კვ.მ ფართობის, სადაც დგას ჩოგბურთის მაგიდა. ვიზუალური დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით დასტურდება სხვადასხვა სპორტული ინვენტარის ფლობა: ბურთები, ბადმინტონი, ლეიბები, ფრენბურთის ბადე და ა.შ. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, შენობის ეზოს, სადაც კალათბურთის ფარებია დამონტაჟებული, ასევე იყენებენ სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. სკოლას გარდა მაგიდის ჩაგბურთისა, არჩეული აქვს სპორტის სახეობები - ბადმინტონი და მძლეოსნობა. აღნიშნული გარემოებები არ არის საკმარისი სპორტის გაკვეთილების სრულფასოვნად ჩასატარებლად, ამისთვის აუცილებელია სპორტული დარბაზი, სტადიონი ან/და სხვა სივრცე.<br>ადმინისტრციასთან საუბარში გაირკვა, რომ შესაძლებელია უახლოეს მომავალში ახლომდებარე მუნიციპალურ სტადიონთან ხელშეკრულების გაფორმება. სკოლას გაგზავნილი აქვს წერილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერთან თხოვნით, რომ სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად ისარგებლოს მუნიციპალიტეტის სპორტული მოედნით.<br>**სკოლას მიეცა რეკომენდაცია:** სპორტის გაკვეთილების სრულყოფილად ჩატარების მიზნით შექმნას მოქნილი საგაკვეთილო ცხრილი, რათა მოსწავლეებმა შეძლონ სპორტული მოედნით სარგებლობა. |
| მმტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• დირექტორთან გასაუბრებით:<br>• სკოლის დირექტორის წერილი N4-31/1 1ივნისი 2022წ. ქ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსების პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ'' განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანების შესაბამისად და სასწავლო სასკოლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლის პირველ სართულზე განთავსებული საბუნებისმეტყველო საგნების ლაბორატორია არ შეესაბამებოდა სტანდარტებს, ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლის ადმინისტრაციამ 33კვმ ოთახში განათავსა ლაბორატორია, სადაც არის სველი წერტილი, ბუნებრივი განიავების შესაძლებლობა, თუმცა არ არის გამწოვი მოწყობილობა, რის დამონტაჟებასაც სკოლა გეგმავს უახლოეს მომავალში. ლაბორატორიაში განათავსეს კარადები შესაბამისი ინვენტარითა და ქიმიური საშუალებებით. ასევე მაგიდა სადემონსტრაციო ცდებისთვის. სკოლას აქვს "სასკოლო ლაბორატორიის გამოყენების წესი" - (დამტკიცებული 2016წ 2 აპრილს, დირექტორის N2-52/1 ბრძანებით). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აღნიშნული წესი გამოკრულია ლაბორატორიაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სასკოლო ლაბორატორიის გამოყენების წესი" - (დამტკიცებული 2016წლის 2 აპრილსN2-52/1)<br>• შესყიდვებისა და ჩუქების დოკუმენტაციით<br>• ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ახალი ლაბორატორიის ამსახველი ფოტო-მასალა |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას აქვს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება, ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, გათბობის საშუალებად გამოიყენება ელექტრო ღუმელები. ექსპერტთა რჩევით, სკოლა არსებულ ღია ტიპის(სპირალისებურ) ელექტრო ღუმელებს ჩაანაცვლებს დახურული ტიპის უსაფრთხო ღუმელებით, რის თაობაზეც სკოლის დირექციამ წარმოადგინა ღუმელების ჩუქების ხელშეკრულება. ღუმელების მოხმარებაზე პასუხიმგებელია ტექნიკური მენეჯერი. სკოლას ელექტროენერგიის ალტერნატივად აქვს გენერატორი, რომელიც ირთვება ელექტროენერგიის შეწყვეტის შემთხვევა. სკოლას აქვს სველი წერტილები სსსმ მოსწავლეებისთვის , მასწავლებლებისათვის. ვიზუალური დათვალიერებისას აღმოჩნდა,რომ ეზოს მხრიდან სკოლის შენობაზე მიშენებული აქვს გოგონათა და ვაჟთა საპირფარეშოს შესასვლელი, სადაც ტიხარი, რომელიც ყოფს ამ საპირფარეშოებს, იყო ნაწილობრივი, კაბინებს არ ჰქონდათ კარი. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექციამ მოაწესრიგა სველი წერტილები. კერძოდ, სრულად გამიჯნა გოგონათა და ვაჟთა სველი წერტილები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | რაც შეეხება კაბინის კარებს, მათი განცხადებით, უახლოეს მომავალში აპირებენ დამონტაჟებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალირებით:<br>• კომუნალური გადასახადების დამადასტურებელი დოკუმენტებით<br>ელ.ღუმელების ჩუქების ხელშეკრულება |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის პირველ სართულზე მდებარეობს ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი. სკოლამ წარმოადგინა ინვენტარიზაციის წიგნი. წიგნების მოძრაობის აღრიცხვის ჟურნალი, მოსწავლეთა ბარათები. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია როგორც ინვენტარიზაციის წიგნში, ასევე ელექტრონულად.<br>ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეადგენს 1585 ერთეულს, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში ასევე არის პერიოდული გამოცემა ,, მაცნე'' და „ახალი განათლება“.<br>ბიბლიოთეკას აქვს ანბანური კატალოგი, რომელიც უზრუნველყოფს წიგნადი ფონდის შეუფერხებლად გამოყენებას. გამოკრულია ინერნეტრესურსები, საიტები და ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკაში არის ლეპტოპი, რომლის საშუალებით შესაძლებელია, მოსწავლეებმა ისარგებლონ ელექტრონული წიგნებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით:<br>• საინვენტარო წიგნით:<br>• დირექტორთან გასაუბრებით: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა სკოლა მზადაა ასეთი მოსწავლის მისაღებად. პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასავლელ კიბეზე და კომპიუტერულ ლაბორატორიაში შესაძლებელია საჭიროებისამებრ დამონტაჟდეს ხის მოძრავი პანდუსები.<br>სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც არის 9 კომპიუტერი, მათ შორის 1 ლეპტოპი და 8 პერსონალური კომპიუტერი. თითოეული კომპიუტერი უზრუნველყოფილია ინტერნეტით და ხელმისაწვდომია, როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის. სკოლას აქვს ასევე 2 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პრინტერი და 1 ქსეროქსი.<br>სკოლის ვებგვერდი codna.edu.ge. აღნიშნულ ვებ გვერდს აქვს, როგორც საინფორმაციო, ასევე საკომუნიკაციო დატვირთვა, სურვილისა და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია შეკითხვის დასმა.<br>საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ელექტრონული ფოსტა codna@mail.ru. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• ხელშეკრულებებით;<br>• სკოლის ვებგვერდით codna.edu.ge |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა შპს ცოდნა-ს შემუშავებული აქვს ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლის ორივე სართულზე განთავსებულია ცეცხლმაქრები სტანდარტის შესაბამისი რაოდენობებით, სულ ოთხი ცალი, რომლებიც დამაგრებულია საევაკუაციო გეგმის შესაბამისად. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• საევაკუაციო გეგმით.<br>• ცეცხლმაქრების შესყიდვის დოკუმენტებით: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ზ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შენობა - ნაგებობის საევაკუაციო გეგმა შემუშავებულია ქუთაისის მერიის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. საევაკუაციო გეგმა გამოკრულია შენობის ორივე სართულზე და აღნიშნული გეგმის მიხედვით განლაგებულია ცეცხლმაქრები. ასევე საევაკუაციო გეგმა განთავსებულია ვებგვერდზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერებით:<br>• საევაკუაციო გეგმებით: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოსწავლეებს სამედიცინო დახმარებას უწევდა ექთანი. ის აწარმოებდა ჟურნალს, სადაც აღრიცხავდა ყველა იმ მოსწავლეს, რომელიც მიმართავდა ჩივილებით, აფიქსირებდა მიმართვის დროს, ჩივილების რაობას და გაწეულ დახმარებას.<br>2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23ნ ბრძანებით დამტკიცდა სკოლების და სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესი, რომლის თანახმად, სკოლას უნდა ჰყავდეს ექიმი. შპს ცოდნა-ს გამოცხადებული აქვს კონკურსი ექიმის პოზიციაზე და სასწავლო წლის დაწყებისთვის ეცდება დააკმაყოფილოს აღნიშნული მოთხოვნა.<br>სკოლას არ ჰქონდა სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი ექიმის კაბინეტი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს, შენობის პირველ სართულზე მოეწყო სამედიცინო კაბინეტი, სადაც არის ონკანი, საკაცე, სამედიცინო ტახტი, კარადა, ექიმის მაგიდა.<br>სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია ძირითადი (გათვალისწინებული) პრეპარატებით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ჩანაწერების წიგნით:<br>• ვიზუალური დათვალიერებით:<br>• მიღება-ჩაბარების აქტებით; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
|---|---|
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს დებულება: შპს ცოდნის ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ'' , აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს: უსაფრთხოებისა და საზოგადოების წესრიგის დაცვის მექანიზმებს, განსახორციელებელ პრევენციულ ღონისძიებებს, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს განსახორციელებელ ღონისძიებებს. აღნიშნული დოკუმენტი შესათანხმებლად გაგზავნილ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, თუმცა სკოლამ მიიღო შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროს მხრიდან, კერძოდ,112 -ის სრული დასახელება უნდა იყოს მითითებული, ასევე შენობაში გამოკრული იყოს 112-ის ცხელი ხაზის ნომერი, ბავშვთა ძალადობის დროს სკოლის მიერ გასატარებელ ღონისძიებებზე, მოსწავლეთა უსაფრთხოების თვალსაზრისითაა გათვალისწინებული ფსიქოლოგიური მომსახურეობა და ა. შ. სკოლამ გაითვალისწინა აღნიშნული შენიშვნები და სამინისტროში წარადგინა რეკომენდაციების გათვალისწინებით დოკუმენტი ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ" შესათანხმებლად. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელიც არეგულირებს დაწესებულებაში ქცევის წესებს. ასევე, კლასის დამრიგებელთა პროგრამებში გათვალისწინებულია ისეთი აქტივობები, რომელიც მოსწავლეებს გააზრებინებს სასკოლო სივრცეში ქცევის და ერთმანეთის მიმართ დადებით დამოკიდებულებას.<br>დაწესებულებას ჰყავს დაცვის სამსახურის თანამშრომელი, რომლის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია შინაგანაწესში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ . |



ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ვიზუალური დათვალიერებით;<br>• შინაგანაწესით: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს**

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად სკოლას აქვს 9 ვიდეოკამერა, რაც შეესაბამება აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს N 1143 ბრძანებას. სამი ვიდეოკამერა აკონტროლებს სკოლის ეზოში შესასვლელს, ოთხი კამერა უკანა ეზოს, ერთი ვიდეო კამერა დამონტაჟებული იყო კომპიუტერულ ლაბორატორიაში, თუმცა ექსპერტთა რჩევით გადატანილ იქნა კიბის უჯრედში. ასევე ორი ვიდეოკამერა განთავსებულია კიბის უჯრედებსა და სკოლის შიდა სივრცეში (დერეფნებში). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • ვიზუალური დათვალიერება;<br>• ვიდეო-კამერების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი. წესდება დამტკიცებულია შპს ცოდნის დამფუძნებელთა საბჭოს მიერ 30.09 2021წ.<br>სკოლის წესდებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა და მართვა, დისციპლინასა და საჩივრის განხილვის წესი, სკოლის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება და ა.შ. სკოლის სტრუქტურა მოიცავს სკოლის დამფუძნებელთა საბჭოს, სკოლის დირექციას. პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას. წესდებით განისაზღვრება ამ სტრუქტურული ერთეულების და სკოლის ადმინისტრაციის ფუნქცია- მოვალეობები, ასევე დისციპლინა და საჩივრის განხილვის წესი.<br>სკოლის შინაგანაწესით, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის N2-99/1 ბრძანებით 30.09. 2021წ და შეთანხმებულია დამფუძნებელთა საბჭოსთან, განსაზღვრულია დოკუმენტის მოქმედების სფერო, დასაქმებულის დანიშვნის წესი, სამუშაო და დასვენების დრო, სკოლაში მოსწავლეთა აღრიცხვის პირობები, სკოლის შიდა კონტროლის განხორციელების წესი და ფორმები, დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომები და სახდელები, წახალისების ფორმები, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით, ფულადი პრემიით. შინაგანაწესის 20.3 მუხლში საუბარია მშობელთა ურთიერთობის წესზე .ასევე, განსაზღვრულია მოსწავლის ქცევის წესები, მოსწავლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები, დისციპლინური სახდელის სახეები. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ პერსონალთა მონაცემების დამუშავებისას სკოლა მოქმედებს " პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის და სხვა ნორმატიული აქტების, სახელმწიფო ინსპექტორის აპარატის რეკომენდაციების შესაბამისად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის წესდება;<br>• სკოლის შინაგანაწესი:<br>• პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული სამოქმედო ერთწლიანი (2021-2022წ.) და ექვსწლიანი გეგმები (2021-2026წ) ,სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-99/1. 30.09.2021წ. რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან. ექსპერტთა რეკომენდაციით სკოლას მიეცა რჩევა , რომ ექვსწლიანი გეგმაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ 2026 წელი, ნაცვლად 2027 წლისა, ჩაესწორებინა და ჩასწორებული დოკუმენტი წარმოედგინა, ასევე მიეთითებინა გეგმის მიზნის შესრულების ვადები, თუმცა ამ დროისთვის გასწორებული დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი. სამოქმედო გეგმა ეფუძნება SWOT ანალიზს, რომელიც გულისხმობს, დასაქმებული პირებისა და მოსწავლეთა საჭიროებებისა და მოთხოვნების შესწავლას. სტრატეგიული მიზნები და ძირითადი მიმართულებებია: ძლიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნა; თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესებისა და სამუშაო გარემოს გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, ფინანსური მართვა, პარტნიორული ურთიერთობები. ზოგადი განათლების სფეროს განვითარება; პროფესიული განვითარების მხარდაჭერა; სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლება, თანამედროვე მეთოდების დანერგვა; სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სრულყოფა. რაც შეეხება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმას, გაწერილია პრიორიტეტები, შესრულების ინდიკატორები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სწავლა-სწავლების ამაღლების თვალსაზრისით გეგმავენ საგნობრივი პროგრამების, თემატური გეგმების და შეფასების რუბრიკების შემუშავებას,მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების მიმართულებით სპორტული დარბაზის იჯარით დაქირავებას, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>• სკოლის ექვსწლიანი სამოქმედო გეგმა. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია როგორც შპს ცოდნა, თუმცა სკოლაში წარმოებულ ყველა დოკუმენტზე სკოლის სახელწოდებად ფიქსირდება შპს ცოდნის სამტრედიის საშუალო სკოლა. დირექტორის განცხადებით, დოკუმენტაცია საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესაბამისად კერძოდ, შპს ცოდნა , ამ სახელწოდებით ჩასწორდება. .<br>2021 წლის 22 სექტემბრის დირექტორის N2-90/1 ბრძანებით სკოლა ცოდნას დამტკიცებული აქვს “საქმის წარმოების წესი”. დოკუმენტის მიხედვით სკოლაში აღირიცხება: შემოსული და გასული კორესპონდენცია, შიდა დოკუმენტაცია. კრების სხდომის ოქმები, შრომითი ხელშეკრულებები, სკოლის დირექტორის ბრძანებები, საგანმანათლებლო დოკუმენტების აღრიცხვა, მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტაცია აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ და ბეჭედდასმულ ჟურნალში.<br>სკოლის დამფუძნებელთა საბჭოს მიერ 30.09.2021წ. დამტკიცებულ სკოლის წესდებაში გაწერილია საქმისმწარმოებლის მოვალეობები; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა -----------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | კერძოდ, რომ ის ხელმძღვანელობს კანცელარიას, აწარმოებს მოსწავლეთა პირად საქმეებს, შემოსული და გასული დოკუმენტაციას, ახორციელებს დირექტორის ბრძანებებისა და განკარგულებების დროულად შესრულებას, პასუხისმგებელია არქივის მუშაობასა და დაცვაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შემოსული და გასული კორეპოდენციების ჟურნალები:<br>• მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოძრაობის ჟურნალები:<br>• ხელშეკრულებების რეგისტრაციის წიგნი:<br>• გასაუბრება საქმისმწარმოებელთან: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | სკოლის შენობაზე ეზოს მხრიდან მიშენებულია შესასვლელი გოგონათა და ვაჟთა სველი წერტილებში, ტიხარი მათ შორის იყო ნაწილობრივ ამოშენებული, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლის დირექციამ უზრუნველყო საპირფარეშოების სრულად გამიჯვნა, ასევე, მათი მოწესრიგება. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ვაჟთა და გოგონათა საპირფარეშოების თითოეულ კაბინას ჰქონდეს კარი. |
| რჩევები: | - |
| ხარვეზები: | - |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის სკოლას ჰყავს შემდეგი აკადემიურ- ტექნიკური პერსონალი. მართვის საინფორმაციო სისტემის eschool მიხედვით სკოლაში 25 თანამშრომელია, სკოლას ჰყავს დირექტორი, ხარისხის მართვის მენეჯერი, საქმისწარმოებელისა და საინფორმაციო მენეჯერის მოვალეობას ასრულებს ერთი თანამშრომელი, ბიბლიოთეკარი, ბუღალტერი, ტექნიკური მენეჯერისა და დაცვის თანამშრომელიც ერთი კადრია. სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 19 პედაგოგთან, რაც უზრუნველყოფს საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას, მათგან 9 უფროსია, 9 მოწვეული, ერთი უსტატუსო, სკოლას გამოცხადებული აქვს კონკურსი აღნიშნულ ვაკანსიაზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის საშტატო განრიგი;<br>• განათლების მართვის სისტემა, Eschool-ბაზა;<br>• თანამშრომელთა ხელშეკრულებები;<br>• მასწავლებელთა პირადი საქმეები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ |
|---|



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 19 |
| უსტატუსო მასწავლებლი | 1 |
| მოწვეული/მაძიებელი | 9 მოწვეული |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | |
| უფროსი მასწავლებლი | 9 უფროსი |
| წამყვანი მასწავლებლი | |
| მენტორის სტატუსი | |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი, მასწავლებლის CV , ზოგიერთი მასწავლებლის პირად საქმეში არ იყო ნასამართლეობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი და სქესობრივი ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართ დანაშაულის ჩადენისათვის დამადასტურებელი ცნობა. ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლამ წარმოადგინა განაცხადი შსს მომსახურების სააგენტოს მიმართ სკოლის ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები და დამტკიცებულია მათი თანამდებობრივი ინსტრუქციები. ბიბლიოთეკართან, საქმისმწარმოებელთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიუს საფუძველზე, შესაბამისი ფართის ვიზუალური დათვალიერებით, ცხადია, რომ მათი კვალიფიკაცია შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მასწავლებელთა და სკოლის პერსონალის პირადი საქმეებით;<br>განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის -eschool-ის ბაზით;<br>შრომითი ხელშეკრულებებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მოქმედებს პერსონალის სამსახურში მიღების წესი, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობაზე მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესს. შპს ცოდნის შინაგანაწესში გაწერილია შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობები. ასევე, განსაზღვრულია დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხა და შესაბამისი სახდელები, წახალისების ფორმები, კერძოდ, ფულადი პრემიის გაცემა, მადლობის გამოცხადება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სასწავლო წლის ბოლოს ხდება მასწავლებელთა ანგარიშების მოსმენა კათედრებზე, შიდა სასკოლო მონიტორინგის შედეგების განხილვა, თვითშეფასება, რომლის საფუძველზე ხდება მათი წახალისება.<br>განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შპს ცოდნის შინაგანაწესით:<br>• თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით:<br>• მასწავლებელთა ანგარიშებით:<br>• შიდა სასკოლო მონიტორინგის მასალებით: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი | სკოლის ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად.<br>შრომითი ხელშეკრულებები შეიცავს ზოგად დებულებას, საგანს, მხარეთა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ი. ხუციშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მიმოხილვა და ანალიზი | უფლება-მოვალეობას, სამუშაო ადგილს, დროს, დასვენების დროს, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობას და ანაზღაურების წესს, მხარეთა პასუხისმგებლობისა და ზეგანაკვეთური ანაზღაურების წესს. ხელშეკრულების მოქმედების ვადას და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერს. სკოლას 2021 წელს სექტემბერში გაფორმებული აქვს მასწავლებლებთან ერთწლიანი და ორწლიანი შრომითი ხელშეკრულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • შრომითი ხელშეკრულებებით;<br>• სკოლის შინაგანაწესით;<br>• პირადი საქმეებით: |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის დირექტორის 13.092021წ. N2-79-1 ბრძანების შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები, პროფესიული განვითარების განხორციელებას ხელმძღვანელობს-სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი.<br>შექმნილია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის მიზანია ხარისხის შეფასება, შიდა მონიტორინგი, მხარდაჭერა, პროფესიული დიალოგის გაძლიერება, თანამშრომლობითი კულტურის ხელშეწყობა, გაკვეთილზე დასწრება და გამოცდილების გაზიარება, ანგარიშების მომზადება. მასწავლებლები იკრიბებიან კათედრებზე, განიხილავენ პრობლემურ საკითხებს, ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე და განიხილავენ შედეგებს, ჩატარებულ გაკვეთილებზე კეთდება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | განმავითარებელი უკუკავშირი. სკოლაში ტარდება მეთოდური ლიტერატურის გაცნობა, სამუშაო შეხვედრები, მასწავლებლები ერთმანეთთან თანამშრომლობენ სამომავალო გეგმებსა და განხორციელების გზებზე მათი პროფესიული განვითარების ხელშესაწყობად. ასევე, ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგებს, ვებინარებს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშესაწყობად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • სკოლის დირექტორის ბრძანება N2-79-1 ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმების შესახებ.<br>• ხარისხის მართვის მენეჯერის ანგარიშებით;<br>• კათედრის დებულებით;<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში, მიღებული ინფორმაციით დგინდება, რომ შპს ცოდნა-ში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ნებისმიერი ინიციატივა, მოსწავლისა თუ მასწავლებლის მხრიდან, არის ხელშეწყობილი სკოლის დირექციისგან. სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრისათვის თანამშრომლობითი ატმოსფეროს შესაქმნელად. სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. მშობლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მათი ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში და სისტემატიურად და მოსახერხებელი ფორმით ეძლევათ ინფორმაცია მათი შვილისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ. მშობლები ერთხმად აღნიშნავენ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | კმაყოფილებას სკოლის მიერ შექმნილი გარემოს თვალსაზრისით. სკოლაში ტარდება კლასგარეშე ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. ასევე, სისტემატურად ტარდება ღონისძიებები ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად. სკოლაში პატივისცემით ექცევიან მოსწავლეებს, მასწავლებლებს. მასწავლებლებს შორის არსებობს ურთიერთნდობის ატმოსფერო, კათედრათა შორის სისტემატიურად ტარდება მასწავლებელთა შეხვედრები, რომლებზეც საუბრობენ სწავლების მეთოდებზე, მათ აქვთ თვითრეალიზაციის საშუალება. მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონიძიებებსა და ოლიმპიადებში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | • გასაუბრება მოსწავლეებთა:<br>• გასაუბრება მშობლებთან;<br>• გასაუბრება მასწავლებლებთან:<br>• სკოლის შინაგანაწესი;<br>• კათედრათა და სადამრიგებლო პორტფოლიები |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | - |
| რჩევები: | - |
| ხარვეზები: | - |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

თბილისი 2022 წელი

თარიღი 12 აგვისტო

47 გვერდი.
დანართი - 45 გვერდი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ------------------------

ბ.ა.